დავით აღმაშენებლის ხსენების დღის აღნიშვნა ქუთაისში

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენა, საგალობლების ფესტივალი

და საზეიმო კონცერტი

8 თებერვალს ქუთაისში დავით აღმაშენებლის ხსენების დღე აღინიშნება. გაიხსნება ქ. ქუთაისის მერიისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ერთობლივი გამოფენა „დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა“.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერი მემკვიდრეობა, რომელიც ასახავს დავითის ეპოქის სამწერლობო ტრადიციას და ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენელთა მიერ გაცემულ დოკუმენტებს: დავითის ავტოგრაფი დაცული სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, „გალობანი სინანულისა“, რუის-ურბნისის ძეგლისწერა“, გელათისა და ვანის სახარებები, გიორგი III-ისა და ლაშა გიორგის სიგელები და სხვ.

გარდა გამოფენისა გელათის აკადემიის შენობაში გაიმართება საგალობლების ფესტივალი. მნიშვნელოვანია, რომ საგალობლების ფესტივალში ახალგაზრდა გუნდებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი, რომელმაც XIX საუკუნის ქართული გალობის სანოტო კრებულებზე დაყრდნობით საქართველოში პრაქტიკულად პირველმა დაიწყო ქართული საგალობლების ტრადიციების აღდგენაზე ზრუნვა.

18:30 საათზე კი, ლ. მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება ქუთაისის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის საზეიმო კონცერტი.

8 თებერვლის პროგრამა:

10:30 - დავით აღმაშენებლის ძეგლის პატივგება

12:00 - გელათის სამონასტრო კომპლექსი

საზეიმო წირვა, დავით აღმაშენებლის სამვალის პატივგება, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაის-იმერეთის ორგანიზაციის ახალი ჩოხოსნების კურთხევა

გელათის აკადემიის შენობა

13:00 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენა „დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობა ხელნაწერთა ცენტრის კოლექციებში“

13:30 – საგალობლების ფესტივალი

მონაწილეები: „ანჩისხატი“, „აღსავალი“, „იადგარი“, ბაღდათის სალოტბარო სკოლის გუნდი

18:30 sT. - ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

ქუთაისის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის საზეიმო კონცერტი.